ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N9

26 მარტი 2024 წ.

ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ.N13-ში; ფიროსმანის ქ.N15-ში; ფიროსმანის ქ.N17-ში და ფიროსმანის ქ.N17ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 05.24.08.108; 05.24.08.169; 05.24.08.107; 05.24.08.155; 05.24.08.173) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 41-ე და 43-ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ.N13-ში; ფიროსმანის ქ.N15-ში; ფიროსმანის ქ.N17-ში და ფიროსმანის ქ.N17ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 05.24.08.108; 05.24.08.169; 05.24.08.107; 05.24.08.155; 05.24.08.173) დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმა, თანახმად დანართისა.

მუხლი 2

დეტალური გეგმით გათვალისწინებული საპროექტო ობიექტების სიმაღლის განსაზღვრა (დაზუსტება) ნაცვლად წარმოდგენილი პარამეტრებისა განხორციელდეს სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტო“-ს მიერ დასაშვებად.

მუხლი 3

დეტალური გეგმის არეალში არსებული მიწის ნაკვეთებზე უკვე გაცემულ (შეთანხმებულ) მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობებში, მშენებლობის განხორციელების პროექტში ან/და გაცემულ მშენებლობის ნებართვაში (როცა მსგავსი ობიექტი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული) ცვლილების შეტანა და ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება განხორციელდეს მსგავსი სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობის და რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 4

კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ს/კ N05.24.08.108; ს/კ N05.24.08.169) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროქტის მიხედვით გადამეტებული) კ1/2 მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე